ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 279

"1" ოქტომბერი 2020 წ

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, აკაკი ბაქრაძის ქ. №16 (ს/კ №01.10.10.025.029) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით შპს ,,ცენტრ პოინტი ჯგუფის" (ს/ნ 204460957) და იბა ,,ახალი დიღომის" (ს/ნ 202389156) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ,,ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - ,,დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების" 35-ე მუხლისა და ,,ქ. თბილისში, აკაკი ბაქრაძის ქ. №16 (ს/კ №01.10.10.025.029) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით შპს ,,ცენტრ პოინტი ჯგუფის" (ს/ნ 204460957) და იბა ,,ახალი დიღომის" (ს/ნ 202389156) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 30 სექტემბრის № 20.1146.1430 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, შპს ,,ცენტრ პოინტი ჯგუფის" (ს/ნ 204460957) და იბა ,,ახალი დიღომის" (ს/ნ 202389156) მიმართ, მისამართზე - ქ. თბილისი, აკაკი ბაქრაძის ქ. №16 (ს/კ №01.10.10.025.029) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებაზე:

ა) მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი (კ-2) განისაზღვროს 4.3-ით;

ბ) მოხდეს კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის და შეცვლილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების გათვალისწინებით;

გ) არქიტექტურული ვიზუალის და სართულის გეგმარების შეთანხმება განხორციელდეს წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით;

დ) მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის, ავტოსადგომების ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების და რაოდენობის დათვლა/გაანგარიშება განხორციელდეს ,,ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2001 წლის 1 აგვისტოს №8-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „წესების“ შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

ტერაბანკი, ქ. თბილისი 0103, ქეთევან დედოფლის 3
საინფორმაციო ცენტრი: (995 32) 255 00 00
მობილურიდან: * 5050

საგადახდო დავალება/ Payment Order N: 210747509
თარიღი/Date:10.05.2016

გადამხდელი/Sender:	ამხანაგობა "ახალი დიღომი", 202389156		
გადამხდელის ანგარიში /	GE40KS0000000360500015		
საიდენტ.კოდი/Sender's Tax Code:	202389156		
გადამხდელის ბანკი/Sender's Bank:	სს "კორ სტანდარტ ბანკი"	ბანკის კოდი:Bank Code	KSBGGE22

თანხა/Amount
4 000,00 GEL

ინფორმაცია პირზე, რომლის მაგივრადაც სრულდება გადახდა
Information on a person on behalf of whom the payment is made

დასახელება/Name:	ამხანაგობა "ახალი დიღომი", 202389156
საიდენტ.კოდი/პირადი ნომერი: Sender's Tax Code/ID Number	202389156

თანხა სიტყვიერად
Amount in words
ოთხი ათასი ლარი 00 თეთრი

მიმღები/Receiver:	ხაზინის ერთიანი ანგარიში. სხვა შემოსულობები (თვითმმართველი ქალაქი თბილ		
საიდენტ.კოდი/Sender's Tax Code :	0		
მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი: Receiver's Account/Treasury Code	300773263		
მიმღების ბანკი/ხაზინა: Receiver's Bank / Treasury	ქ.თბილისი, "სახელმწიფო ხაზინა"	ბანკის კოდი:Bank Code	TRESGE22

გადახდის დანიშნულება: Operation Details	შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ - სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დ
დამატებითი ინფორმაცია: Additional Information	

ბანკის აღნიშვნები/Status

ბანკში შემოსვლის თარიღი /Received
10.05.2016

ბანკში შესრულების თარიღი Accomplished
10.05.2016



ვადასტურებ, რომ სრულად ვიცნობ ბანკის ვებგვერდზე (www.terabank.ge) განთავსებულ საბანკო ოპერაციების წარმოების სტანდარტულ პირობებს და ვეთანხმები მათ.
I confirm that I'm fully familiar with the bank's website (www.terabank.ge) and listed standard and conditions agreement and agree with them.